



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 4 აგვისტო

დისციპლინური საქმე №124/22
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ `

-- -- 2022 წლის 11 ივლისის №124 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^ბ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^გ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 13 ივლისის №409/124-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე ---:

- 1.1. 2021 წლის 14 ოქტომბერს, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მსჯელობისას თვითნებურად შეუცვალა ბრალდებულს ქმედების კვალიფიკაცია;
- 1.2. 2021 წლის 22 ნოემბერს მიიღო მიკერძოებული გადაწყვეტილება, რამეთუ სს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდებოდა დაზარალებულის გაუპატიურების ფაქტი;
- 1.3. 2022 წლის 26 აპრილს და 31 მაისს არ დააკმაყოფილა მოსამართლის აცილების შუამდგომლობა;
- 1.4. 2022 წლის 26 აპრილის სხდომაზე უსაფუძვლოდ ჯერ გააფრთხილა, ხოლო შემდეგ დააჯარიმა დაცვის მხარე;
- 1.5. 2022 წლის 5 მაისს, არასრულწლოვანი მოწმის --- დაკითხვის პროცესში, შესაბამისი დაცვის ორდერის გარეშე დაუშვა დაზარალებულის ადვოკატი ---;
- 1.6. სასამართლოსთვის წარდგენილი სამედიცინო ცნობის მიუხედავად, რომელშიც ასახული იყო ინფორმაცია ბრალდებულის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, 2022 წლის 17 და 20 ივნისს მოსამართლემ დისტანციურად ჩაატარა სასამართლო სხდომები.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2021 წლის 13 ოქტომბერს, --- პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა --- სასამართლოს --- მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე, დანაშაული გათვალისწინებული: 11¹,141-ე მუხლის პირველი ნაწილი, 11¹,138-ე

მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით, 11¹, 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ და მე-4 ნაწილის „გ“ და „დ“ პუნქტებით, 11¹, 139-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ და მე-4 ნაწილის „ბ“ პუნქტებით.

-- -- სასამართლოს მოსამართლის -- -- 2021 წლის 14 ოქტომბრის განჩინებით პროკურორ -- -- შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. ბრალდებულ -- -- მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა პატიმრობა. 2021 წლის 14 ოქტომბრის განჩინებაში ბრალდებულის პასუხისგებაში მიცემის მუხლებად მითითებულია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 141-ე მუხლი, 11¹, 138-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 11¹, 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ და მე-4 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები, 11¹, 139-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტები.

2021 წლის 22 ნოემბერს, მოსამართლე -- -- ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა პროკურორის -- -- შუამდგომლობა სს საქმეზე -- -- მიმართ წინასასამართლო სხდომის თარიღის გაგრძელების თაობაზე. მოსამართლე -- -- 2021 წლის 22 ნოემბრის განჩინებით პროკურორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. ბრალდებულ -- -- სს საქმეზე გაგრძელდა წინასასამართლო სხდომის ვადა.

2022 წლის 23 მარტს, სს საქმე -- -- მიმართ არსებითად განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2022 წლის 26 აპრილის სასამართლო სხდომაზე, ადვოკატმა -- -- დააყენა მოსამართლის -- -- აცილების შუამდგომლობა. შუამდგომლობის ავტორმა მოსამართლის საქმიდან აცილების საფუძველად მიუთითა მოსამართლის 2021 წლის 14 ოქტომბერს მიღებული განჩინება, -- -- მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე. ადვოკატის შეფასებით, მოსამართლის 2021 წლის 14 ოქტომბრის განჩინება არის დაუსაბუთებელი. ადვოკატი ასევე არ დაეთანხმა მოსამართლის მიერ განჩინებაში მითითებულ ქმედების კვალიფიკაციას.

მოსამართლე -- -- ადგილზე თათბირით განიხილა და არ დააკმაყოფილა ადვოკატის -- -- შუამდგომლობა.

ამავე სასამართლო სხდომაზე, მოწმის -- -- დაკითხვის პროცესში, სასამართლო სხდომის 15:41 წუთზე, ადვოკატმა -- -- პროკურორის მისამართით განაცხადა: რატომ გონია, რომ შეურაცხყოფას ვაყენებ? მოლანდებები აქვს მემგონი“.. აღნიშნული ფრაზა მოსამართლემ მიიჩნია წესრიგის დარღვევად და ადვოკატი -- -- დააჯარიმა -- -- ლარით.

2022 წლის 5 მაისის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა არასრულწლოვანი -- --. მოწმის დაკითხვა დაიწყო 14:33 წუთზე. სასამართლო სხდომის 14:46 წუთზე მოსამართლემ აღმოაჩინა, რომ სასამართლო სხდომას -- -- ადვოკატის ნაცვლად ესწრებოდა -- -- ადვოკატი -- --. აღნიშნული ფაქტის აღმოჩენის შემდეგ, სხდომათა დარბაზში გამოცხადდა შესვენება. შესვენების დასრულების შემდეგ, ადვოკატმა -- -- მოსამართლესთან შეთანხმებით, სხდომათა დარბაზში წარუდგინა ორდერი სასამართლოს, რომლითაც დასტურდება ადვოკატის -- -- უფლებამოსილება დაიცვას -- -- ინტერესები სასამართლოში. სს საქმეში აღნიშნული ორდერი წარმოდგენილია და ერთვის საქმეს.

2022 წლის 31 მაისის სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა -- -- დააყენა შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე. ადვოკატმა მოსამართლე დადანაშაულა მიკერძოებულ მართლმსაჯულებაში და რის დასასაბუთებლად მიუთითა ოთხ გარემოებაზე: 1) ადვოკატმა მიუთითა მოსამართლის წინა სხდომაზე მიღებულ განჩინებების შესახებ; 2) ადვოკატის განმარტებით მოსამართლე არ აფრთხილებდა მხარეებს სასამართლოში წესრიგის დარღვევის შესახებ და არ უმარტავდა მათ შესაბამის უფლება-მოვალეობებს; 3) ადვოკატის განმარტებით, მოწმე -- -- დაკითხვის პროცესს სასამართლომ სხდომას დაასწრო არაუფლებამოსილი პირი ადვოკატი -- --; 4) ადვოკატის შეფასებით, სასამართლომ უსაფუძვლოდ დააჯარიმა დაცვის მხარე.

მოსამართლე -- -- ადგილზე თათბირით განიხილა და არ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა, მოსამართლის აცილების თაობაზე.

საქმის მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ 2022 წლის 16 ივნისს, ადვოკატმა -- -- შუამდგომლობით მიმართა -- -- სასამართლოს და ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ითხოვა 2022 წლის 17 ივნისის სასამართლო სხდომის სხვა დროისთვის გადადება. ადვოკატმა მიუთითა ორი გარემოების შესახებ: 1) პატიმრის ბადრაგირების შეუძლებლობა (ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით); 2) ბრალდებულის სურვილი პირადად მიეღო მონაწილეობა სასამართლო სხდომაზე.

2022 წლის 17 ივნისის სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე და სასამართლო სხდომა ჩანიშნა 2022 წლის 20 ივნისს.

2022 წლის 20 ივნისის სასამართლო სხდომა გაიმართა დისტანციურად. სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილ იქნა ცნობა, რომლის თანახმად, ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სასამართლო სხდომაზე მისი ფიზიკურად წარმოდგენა ვერ მოხერხდა. სასამართლო სხდომაზე ბრალდებულმა უარი განაცხადა სხდომაზე დისტანციურად მონაწილეობაზე.

მოსამართლემ ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის და მისი სურვილის გათვალისწინებით, რომ თავად მიიღოს სასამართლო განხილვაში მონაწილეობა, სასამართლო სხდომა გადადო და მომდევნო სხდომა დანიშნა პენიტენციურ დაწესებულებაში.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევავსოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს. კერძოდ, უნდა შევასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს

გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პროცესის მონაწილის ან/და სასამართლო სხდომაზე დამსწრის მიერ სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე ზეპირ შენიშვნას აძლევს მას და მოუწოდებს, შეწყვიტოს არასათანადო ქცევა. აღნიშნული მოწოდებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პირის დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევ პირს, მათ შორის, გაძევებულ პირს, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებით შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 50 ლარიდან 500 ლარამდე ოდენობით, რაზედაც გაიცემა სააღსრულებო ფურცელი.

საქართველოს სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, წინასასამართლო სხდომა უნდა გაიმართოს პირის დაკავებიდან არაუგვიანეს 60 დღისა. მხარეს უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით აღნიშნული ვადის გონივრულ ვადამდე გაგრძელების ან შემცირების შესახებ, რის თაობაზეც უნდა ეცნობოს მეორე მხარეს. მეორე მხარე უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრებები წერილობით წარუდგინოს სასამართლოს შუამდგომლობის წარდგენიდან სამი დღის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე.

საქართველოს სსსკ-ის 332⁵ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, სასამართლო სხდომა სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია გაიმართოს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, თუ: ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა, მჯავრდებულს სასჯელის სახით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა ან/და სასამართლო სხდომის ამ წესით ჩატარებლობამ შესაძლებელია დანაშაულის გახსნისა და პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საჯარო ინტერესის ხელყოფა გამოიწვიოს.

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების კვლევას. თუმცა, საჩივარში

მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც აღნიშნულია წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2. 1.4. და 1.6. პუნქტებში, ორგანული კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება დაუშვებელია.

შესაბამისად, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი გარემოებები წარმოადგენს მოსამართლის მიერ, შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად განხორციელებულ ქმედებებს და არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დისციპლინური გადაცდომა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. -- -- 2022 წლის 11 ივლისის №124 საჩივრის საფუძველზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, გადაწყვეტილების 1.2. 1.4. და 1.6. პუნქტებთან მიმართებაში.
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, -- -- 2022 წლის 11 ივლისის №124 საჩივარში მითითებული დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი